ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1964967

ნომერი: AR1319073

თარიღი : 16.06.2015

გაცემის თარიღი : 19.06.2015

გაცნობის თარიღი : 20.06.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 54 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კასრაძე პ/ნ 01024011768
- ქიმძმარაულის 5

ორგანიზაცია:

- სს "ფუდმარტი" კოდი: 404460187

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავსირებითაც გაცნობებთ: საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, და კოდიციონერის გარე აგრეგატის მოწყობა ხდება ქუჩის მხარეს გამომავალ ფასადზე, ზედ ფეხითმოსიარულეთა ტროტუარზე, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, წარმოდგენილი სახით, ქუჩის მხარეს გამომავალ ფასადზე კონდენციონერის განთავსება არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. მით უმეტეს, რომ წარმოდგენილი სახით პრეცენდენტის დაშვება შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც გამოიწვევს ტროტუარის შემდგომ მიზანშეუწონელ განვითარებას და მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებს შენობის იერსახეზეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.